ხის ბიჭუნას ამბავი

ალბათ, წაგიკითხავს კარლო კოლოდის „პინოქიო". გაიხსენე, რით დაგამახსოვრდა ეს ნაწარმოები ყველაზე მეტად.

კარლო კოლოდი იტალიელი საბავშვო მწერალია. მან „პინოქიოს თავგადასავალი" თითქმის 140 წლის წინ დაწერა. პინოქიო დღემდე რჩება ბავშვების უსაყვარლეს გმირად.

თავიდან მოთხრობა ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა გაზეთში. როგორც კი კოლოდი „პინოქიოს" **მორიგ** თავს ასრულებდა, ბავშვები წერილს წერილზე უგზავნიდნენ. მისგან ამბის გაგრძელებას ითხოვდნენ. კოლოდიც ახალ ისტორიას იგონებდა. ამას ბოლო არ უჩანდა, ამიტომ მან ხერხს მიმართა. პინოქიო დამჯერ ბიჭუნად აქცია. უცნაურია, მაგრამ ამის შემდეგ ბავშვების წერილებმა იკლო. ბოლოს კი სულ შეწყდა.

„პინოქიოს" ყველა თავი ერთ წიგნად პირველად 1883 წელს გამოიცა.

რატომ უყვართ ბავშვებს პინოქიო? ალბათ, იმიტომ, რომ ხის პატარა ბიჭუნა თავის თავში ყველა ბავშვურ თვისებას აერთიანებს. ის ცოტა ზარმაცია. ცელქობს კიდეც, ზოგჯერ იტყუება... თუმცა არც ისე **ურიგო** ბიჭია. უყვარს თავისი მამილო და ძალიან კეთილია!

1950 წელს ქალაქ კოლოდიში პინოქიოს სახელობის პარკი გახსნეს. ხის ბიჭუნას ქანდაკებაც დაუდგეს. მასზე ასეთი წარწერაა: „უკვდავ პინოქიოს 4-იდან 70 წლამდე ასაკის მადლიერი მკითხველისგან".

პინოქიოს დაბადების დღე 1881 წლის 7 ივლისია. ეს არის რიცხვი, როდესაც მისი უცნაური ისტორიის ბეჭდვა დაიწყო გაზეთში. იტალიაში ამ დღეს დიდი ზეიმით აღნიშნავენ. ბავშვები ქვეყნის ყველა ქალაქიდან ჩამოდიან კოლოდიში. პინოქიოს პარკს უკვე 8 მილიონზე მეტი ადამიანი ესტუმრა. ერთ წელს აქ გაიმართა **კონკურსი** კედლის მხატვრობაში. მასში მონაწილეობა ცნობილმა მხატვრებმა მიიღეს. ჟიურიმ პინოქიოს ისტორიაზე შექმნილი ექვსი **ესკიზი** შეარჩია. ისინი ძველი სახლების **ფასადებზე** დახატეს.

კარლო კოლოდის ,,პინოქიოს" მიმართ ინტერესი არ **ნელდება**. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იდგმება სპექტაკლი „პინოქიო". გადაღებულია ასობით მხატვრული და **ანიმაციური** ფილმი. სხვადასხვა ენაზე ათასობით წიგნი იბეჭდება და იყიდება.

ტექსტის მიხედვით, რატომ უყვართ ბავშვებს პინოქიო?

კომპონენტი: *ბიზუნი, შედეგი.* **დონე:** *4.1*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 მეორე აბზაციდან ვიგებთ:

ა) რატომ იბეჭდებოდა „პინოქიო“ გაზეთში.

ბ) რატომ მოსწონდათ ბავშვებს ,,პინოქიო“.

გ) რატომ სწერდნენ ბავშვები ავტორს წერილს.

2 როგორც კი ავტორმა დამჯერ ბიჭუნად აქცია პინოქიო:

გ) ბავშვებმა მადლიერების წერილი გაუგზავნეს ავტორს.

ა) პინოქიოს ამბავი სხვადასხვა ენაზე ითარგმნა.

ბ) ნაწარმოების გაგრძელება არავის უთხოვია.

3 როგორ გამოხატეს იტალიელებმა განსაკუთრებული დამოკიდებულება „პინოქიოს“ მიმართ?

ა) „პინოქიო“ ერთ წიგნად დაბეჭდეს.

ბ) პინოქიოზე მხატვრული ფილმი გადაიღეს.

გ) პინოქიოს ძეგლი დაუდგეს კოლოდიში.

4 რას ვიგებთ ძეგლის წარწერიდან?

ა) ,,პინოქიოს“ ყველა ასაკის მკითხველი ჰყავს.

ბ) რამდენი მკითხველი ჰყავს ,,პინოქიოს“.

გ) როდის აქვს პინოქიოს დაბადების დღე.

5 რის შესახებ <u>*არ არის*</u> საუბარი ტექსტში?

ა) პირველად სად გადაიღეს პინოქიოზე ფილმი.

ბ) რატომ სტუმრობს პინოქიოს პარკს ბევრი ბავშვი.

გ) რა შედეგით დასრულდა მხატვართა კონკურსი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. კოლოდიმ მოთხრობის **მორიგი** თავი გაუგზავნა გაზეთს.

   ა) ბოლო. ბ) მთავარი. გ) მომდევნო.

2. პინოქიო არც ისე **ურიგო** ბიჭია. აქ **ურიგო** ნიუშნავს:

   ა) გონიერს. ბ) ცუდს. გ) კარგს.

3. „პინოქიოს“ მიმართ ინტერესი არ **ნელდება.**

   ა) მატულობს. ბ) სუსტდება. გ) ქრება.

2 რომელ წინადადებაში აღნიშნავს სიტყვა „თავი“ დასაწყისს?

ა) **თავიდან** მოთხრობის მხოლოდ ნაწილი დაიბეჭდა.

ბ) პინოქიო თავის **თავში** ყველა ბიჭუნას ნაკლს აერთიანებს.

გ) ნაწარმოების ყველა **თავი** ერთ წიგნად დაიბეჭდა.

3 ხაზებით დააკავშირე ერთმანეთთან სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ესკიზი	შენობის წინა ნაწილი.
2. ფასადი	შეჯიბრება საუკეთესოს გამოსავლენად.
3. კონკურსი	ნახატი ან თოჯინური ფილმი.
4. ანიმაციური	წინასწარი მონახაზი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები საჭირო ფორმით.

1. პინოქიოს ძეგლი დაიდგა *(იტალია)* ---------- ქალაქ კოლოდიში.
2. კოლოდიმ პინოქიოს *(ისტორია)* ---------- ბეჭდვა 1881 წელს დაიწყო.
3. ხის ბიჭუნას *(თავგადასავალი)* ---------- მიხედვით ფილმი გადაიღეს.
4. რამდენიმე ესკიზი *(კედელი)* ---------- მოსახატად შეარჩიეს.
5. მწერალმა *(ამბავი)* ---------- თხრობა განაგრძო.

გრამატიკა

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

	მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
ნიმუში:	*ამბავი*	*ამბები*
1.	თავგადასავალი	----------
2.	მწერალი	----------
3.	კედელი	----------
4.	მხატვარი	----------

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ყველა ბავშვი ----------. *(კითხულობს / კითხულობენ)*
2. პინოქიოს ძალიან უყვარს ---------- მამილო. *(მისი / თავისი)*

4 სწორი ფორმები აღნიშნე V- ით.

	☒ *გმირად.*	☐ *გმირათ.*
1.	☐ ითხოვდენ.	☐ ითხოვდნენ.
2.	☐ ბევრი ქვეყნები.	☐ ბევრი ქვეყანა.
3.	☐ ცნობილ მხატვრის.	☐ ცნობილი მხატვრის.

წერა

არმოიდგინე, შენს ქალაქში თუ სოფელში რომელიმე ნაწარმოების პერსონაჟს უნდა დაუდგან ძეგლი. შენ შეგიძლია გამოთქვა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. დაწერე, რომელი პერსონაჟის ძეგლის დადგმას ისურვებდი და რატომ. იმისათვის, რომ სხვებიც დაარწმუნო შენი არჩევანის სისწორეში, ისაუბრე ნაწარმოების გმირის თვისებებზე. გააფორმე ნაწერი ნახატით.